

შეთანხმება აკრედიტაციაზე

ერთის მხრივ სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის-----სახით, მოქმედებს საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს და სსტ ისო/იეკ 17011:2017/2018 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად,

და

მეორეს მხრივ, შპს-----, მისი წარმოდგენილი მისი დირექტორის -----სახით, წარმოდგენილი განაცხადი აკრედიტაციაზე

ვთანხმდებით:

აკრედიტაციის ცენტრი:

1. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს საქმიანობა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნების, სახელმძღვანელო დოკუმენტების, აკრედიტაციის წესების და პროცედურების სრული დაცვით;
2. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს შეფასება ჩაატაროს კვალიფიცირებული და გამოცდილი შემფასებლების გამოყენებით;
3. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს შეფასება ჩაატაროს მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და კონფიდენციალურობის პრინციპების სრული დაცვით;
4. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს განმცხადებელს სრული ინფორმაცია მიაწოდოს შეფასების ყველა ეტაპზე მიმდინარეობის შესახებ;
5. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს განმცხადებლის მიერ კომპეტენტურობის დადასტურების შემთხვევაში გასცეს აკრედიტაციის მოწმობა 4 წლის ვადით;
6. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს გადასცეს და უფლება მისცეს აკრედიტირებულ პირს გამოიყენოს აკრედიტაციის სიმბოლო, აკრედიტაციის სტატუსის დემონსტრირებისათვის;
7. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს გამოაქვეყნოს საჯარო ინფორმაცია აკრედიტირებული პირის შესახებ, აკრედიტაციის სფეროს მითითებით აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე და მუდმივად მოახდინოს საჯარო ინფორმაციის განახლება;
8. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ, აკრედიტაციის მოწმობის მოქმედების 4 წლიანი ვადის განმავლობაში განახორციელოს აკრედიტირებული პირის ყოველწლიური შეფასება, რათა დარწმუნდეს, რომ აკრედიტირებული პირის, აკრედიტაციის სფეროთი განსაზღვრული საქმიანობა შეესაბამება აკრედიტაციის კრიტერიუმებით დადგენილ მოთხოვნებს;
9. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს დროულად აცნობოს აკრედიტირებულ/აკრედიტაციის მამიებელ პირს აკრედიტაციის ცენტრის გადაწყვეტილება საჭიროების შემთხვევაში შეფასების EA MLA, BLA ხელმომწერ ქვეკონტრაქტორზე გადაცემის თაობაზე;
10. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს მუდმივად მოახდინოს აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნების იმპლემენტაცია აკრედიტაციის წესებში და პროცედურებში და შესაბამებოდეს აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნებს;

11. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს დროულად მოახდინოს აკრედიტირებული პირის ინფორმირება აკრედიტაციის სისტემაში, აკრედიტაციის წესებში და პროცედურებში ცვლილებების შესახებ, მოისმინოს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები ცვლილებების შესახებ, მოისმინოს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები ცვლილებების შესახებ. გადაწყვეტილების მიღების და ცვლილებების გამოქვეყნების შემდეგ, მოახდინოს თითოეული აკრედიტირებული პირის გადამოწმება, რამდენად სწორედ იქნა შეტანილი ცვლილებები.
12. აკრედიტაციის ცენტრი ვალდებულია იღებს შეაჩეროს, გააუქმოს აკრედიტაციის სფეროთი განსაზღვრული საქმიანობა, თუ ის არ შეესაბამება აკრედიტაციის კრიტერიუმების მოთხოვნებს.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანო:

1. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს მისი საქმიანობა მუდმივად შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნებს, სახელმძღვანელო დოკუმენტებს, აკრედიტაციის წესებს, პროცედურებს და აკრედიტაციის პოლიტიკას სხვადასხვა სფეროში;
2. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს განახორციელოს აკრედიტირებული საქმიანობა მხოლოდ აკრედიტაციის განსაზღვრულ სფეროში.
3. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს განახორციელოს და დანერგოს ყველა ის ცვლილებები, რომლებიც განისაზღვრება აკრედიტაციის ცენტრის მიერ;
4. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს აკრედიტაციის ცენტრს მოთხოვნისამებრ წარმოადგინოს აკრედიტაციის კრიტერიუმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
5. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს, აკრედიტაციის და ყოველწლიური შეფასებები ფარგლებში უზრუნველყოს აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლების დაშვება ორგანოს პერსონალთან, სამუშაო/ვირტუალურ უბნებთან, ხელსაწყო-მოწყობილობებთან, დოკუმენტებთან, ჩანაწერებთან, რათა მოხდეს დადასტურება, რომ ორგანოს საქმიანობა შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს;
6. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს, აკრედიტაციის და ყოველწლიური შეფასების ფარგლებში ხელი შეუწყოს აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებს განახორციელონ შეფასების ტექნიკით გათვალისწინებული დაკვირვებები და სხვა საქმიანობა;
7. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს თავის მომხმარებელთან/კლიენტთან სამართლებრივი შეთანხმების საფუძველზე, უზრუნველყოს აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლების დაშვება მომხმარებლის/კლიენტის სამუშაო ადგილებზე, რათა შეფასდეს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს საქმიანობა კლიენტისათვის შესაბამისობის შემფასებელი საქმიანობის განხორციელების დროს.
8. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს გამოიყენოს აკრედიტაციის სიმბოლო მხოლოდ აკრედიტაციის სფეროთი განსაზღვრული საქმიანობის დემონსტრირებისათვის;
9. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს არ გამოიყენოს აკრედიტაცია ისეთ საქმიანობაში, რომელიც შელახავს აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობას;

10. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს შეფასების შედეგების მიუხედავად გადაიხადოს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;
11. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს აკრედიტაციის შეჩერების ან/და გაუქმების შემთხვევაში, არა განახორციელოს საქმიანობა აკრედიტაციის სტატუსის მითითებით და დროულად მოახდინოს მისი მომხმარებლების/კლიენტების ინფორმირება აკრედიტაციის სტატუსის შეჩერების თაობაზე;
12. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს ითანამშრომლოს აკრედიტაციის ცენტრთან და გამოძიებასთან, რათა ხელი შეუწყოს საჩივრების და დავების სამართლიანად და დროულად მოგვარებას;
13. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო პასუხისგებლობას იღებს დროულად მოახდინოს აკრედიტაციის ცენტრის ინფორმირება აკრედიტაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებებზე;
 - იურიდიული, კომერციული საკუთრების ან ორგანიზაციული სტატუსის შესახებ;
 - ორგანიზაციის, მთავარი მენეჯმენტის და პერსონალის შესახებ;
 - რესურსების და ადგილმდებარეობის შესახებ;
 - აკრედიტაციის სფეროს შესახებ;
 - ყველა იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას მოხდენს შესაბამისობის შემფასებელ ორგანოზე განახორციელოს აკრედიტაციის მოთხოვნების შესრულება.